

ბსსა ბიბლიოთეკის 2017 წლის მუშაობის ანგარიში

ბსსა ბიბლიოთეკა 2017 წლის მუშაობა წინასწარ განსაზღვრული ერთ წლიანი და შვიდ წლიანი სამუშაოების გეგმით. რომელიც შეთანხმებული იყო აკადემიის ხელმძღვანელობასთან. საანგარიშო პერიოდის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოთა ჩამონათვალი შემდეგია:

1. აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სისტემატიზირება;
2. წიგნადი ფონდის განვითარების სამუშაოები;
3. ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ;
4. ელექტრონული თავისუფალი ბაზების მოძიება და მომხმარებელთა ინფორმირება;
5. პერსონალის ტრენინგი;
6. ელექტრონული კატალოგის წარმოება;
7. მკითხველთა რეგისტრირება, კონსულტაცია, მომსახურება;
8. ახალი შესაძენი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული დამუშავება, ფორმირება;
9. აკადემიის თანამშრომელთა გამოცემული ლიტერატურის პრეზენტაცია;
10. წიგნადი და ელექტრონული ფონდების შესაბამისობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სილაბუსებთან;
11. გამოფენების შეხვედრების ორგანიზება;
12. საბიბლიოთეკო სივრცის გამოყენება აკადემიის ყოველდღიურ ცხოვრებაში;

სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აკადემიის წიგნადი ფონდის განახლება და სისტემატიზირება. აკადემიის ბიბლიოთეკა სისტემატიურ მუშაობას ახორციელებდა საანგარიშო პერიოდში. ბსსა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო 497 წიგნადი ერთეულით. მოხდა აღნიშნული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული დამუშავება, მომზადდა კატალოგები, დამუშავებული ლიტერატურა საინფორმაციო სისტემით ეცნო ბიბლიოთეკის მომხმარებლებს.

პარალელურად მიმდინარეობდა წიგნადი ფონდის განახლება და ფორმირების სამუშაოები. შემუშავდა ახალი შესაძენი ლიტერატურის ჩამონათვალი-კონსოლიდირებული სია. რომელთა შედგენაში აქტიურად იყო ჩართული აკადემიის აკადემიური პერსონალი. სატრენაჟორო ცენტრი, ფაკულტეტები და რექტორატი. 2018 წლისათვის გამზადებული ლიტერატურა თვისებრივად შეცვლის ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შინაარსსა და სისტემას.

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირებამ დღის წესრიგში დააყენა ჩვენი აკადემიის საზოგადოების სამეცნიერო თანამშრომლობაში ჩართვის აუცილებლობა, ჩვენს მიერ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან თანამშრომლობით, აკადემიის რექტორატის პირადი მხარდაჭერით ემენილი იქნა სამეცნიერო ელექტრონული ბაზების პაკეტი, რომელიც შერჩეული იქნა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პროფილის გათვალისწინებით.

2017 წ . დეკემბერში განხორციელდა ბიბლიოთეკის პერსონალისა და აკადემიური პერსონალის ტრენინგი და სერთიფიცირება.

ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების, პრაქტიკის და კონსულტაციის საკითხებში.

ბსსა აკადემიის ბიბლიოთეკა სისტემატიურად ახორციელებს თავისუფალ წვდომას ელექტრონულ საინფორმაციო, სამეცნიერო და პროფესიული ბაზების მოძიების საქმეში. საანგარიშო პერიოდში მოძიებული, დამუშავებული და ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებული იქნა 3სამეცნიერო პორტალი და ჟურნალი. ორი საზღვაო სამეცნიერო პრაქტიკული რესურსი ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობდა შიდა ელექტრონული რესურსების ფორმირების საკითხებზე. რეალურად შეიქმნა შიდა ელექტრონული მიწოდების პერსონალური სისტემა, რომელიც პერსონალური ინფორმაციის წესების დაცვის საფუძველზე უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მომხმარებელთა შიდა ელექტრონული რესურსების გამოყენებას. განახლდა სილაბუსები, სალექციო კურსები , პროფესიული და საბაკალაურო პროგრამების სასწავლო ლიტერატურა. გადამოწმდა ელექტრონული რესურსების შესაბამისობა სასწავლო სილაბუსებთან მიმართებაში. რეალურად აკადემიური პერსონალის გასაკეთებელი სამუშაო შეასრულა ბიბლიოთეკის პერსონალმა, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბიბლიოთეკის უფროსი სპეციალისტის ქეთევან ბერიძის მიერ გაწეული სამუშაო ამ საქმეში.

ბსსა ბიბლიოთეკამ აკადემიის პროგრამისტებთან ერთად შეიმუშავა და დანერგა სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის კომპიუტერული პროგრამა . რაც საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ როგორც წიგნადი ასევე ელექტრონული რესურსების გამოყენების სტუდენტთა მოთხოვნილებების ანალიზი.სტატისტიკურ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე წარმოვადგენთ ცალკე პრეზენტაციის სახით.

ბსსა ბიბლიოთეკაში პერიოდულად მიმდინარეობს პერსონალის ტრენინგი. აკადემიის ხელმძღვანელობა ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული. ტრენინგები ტარდება როგორც ბსსა ბიბლიოთეკის ბაზაზე ასევე საქართველოს წამყვანი სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. 2017 წლის 04 დეკემბერს პირადად გახლდით ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე ქ. თბილისში ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.ტრენინგი შეეხო უმაღლესი სასწავლებლების მოსალოდნელი ავტორიზაციის ბიბლიოთეკის კომპონენტს.

ბსსა ბიბლიოთეკაში 2014 წელს დაინერგა ელექტრონული საერთაშორისო კატალოგი evergrin MARK 21ბაზაზე. ბიბლიოთეკის პერსონალი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს აღნიშნულ კატალოგში როგორც ჩვენი წიგნადი ფონდის , ასევე ლიცენზირებული ელექტრონული წიგნების თუ პროგრამების შეყვანას.

აკადემიის ბიბლიოთეკა წლის დასაწყისში ახორციელებს მომხმარებელთა ხელახალ რეგისტრაციას , ასევე სასწავლო წლის დასაწყისში ხორციელდება პირველკურსელთა რეგისტრაცია. მკითხველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში.ამჟამად აკადემიის ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებულია 1752 მკითხველი. რაც ჩვენი სასწავლებლის სტუდენტთა და პერსონალის 63 % შეადგენს.

პერიოდულად ბიბლიოთეკას მოეწოდება ახალი ლიტერატურა, სამეცნიერო ბაზები და სხვა ელექტრონული ბაზები და რესურსები .ბიბლიოთეკაში შექმნილია კეთილგანწყობის გარემო.

აკადემიის ბიბლიოთეკა წელიწადში ორჯერ ადგენს ლიტერატურის სიებს.ატარებს ლიტერატურის საჭიროების მისი აქტუალობის და სარგებლობის ანალიზს. შესაძენი ლიტერატურა და ელ.მატარებლების ფორმირებული დამტკიცებული სიები არსებული წესით გადაეგზავნება შესყიდვების განყოფილებას.

ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ბიბლიოთეკის პერსონალი აქტიუტად მუშაობს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობაზე ბიბლიოთეკის წიგნად და ელექტრონული ფონდებთან.. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს რომ ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირი ზედაპირულად ეკიდება ამ საქმეს. რაც ძალიან ართულებს ჩვენს მუშაობას.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. სულ ჩატარდა 60-მდე სხვადასხვა ღონისძიებები . განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თანამედროვექართველი მწერლის დათო ტურაშვილის შეხვედრა აკადემიის სტუდენტებთან. ყველა ამ სახის აქტივობა ასახულია ბიბლიოთეკის facebookგვერდზე .

2017 წელი ნაყოფიერი გახლდათ ბსსა ბიბლიოთეკისათვის . გეგმით დასახული ღონისძიებები შესრულდა 85% . აღნიშნულ პრობლემებზე მიმდინარეობს სისტემატიური მუშაობა. ბიბლიოთეკა საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას, დამატებით სივრცესა და საინფორმაციო რესურსებს, რაც გათვალისწინებული იქნა 2018 წლის სამუშაო გეგმაში.